მოგესალმებით,

როგორც მოგეხსენებათ, კონკურსის ფარგლებში აპლიკანთა შერჩევის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის სტუდენტის მაღალი აკადემიური მოსწრება - GPA (მთავრობის დადგენილება #303, 30/04/2014). გარდა იმისა რომ GPA არის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, სელექციის პროცესში აღნიშნული კრიტერიუმი ჩემს შემთხვევაში არაარსებით და დამაბრკოლებელ ბარიერად მიმაჩნია, შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით:

1. **სტუდენტის მიერ პროფესიის შეცვლა** - თუ სტუდენტი იცვლის პროფესიას (მაგ. ბიზნესის მიმართულების ბაკალავრი აბარებს ჰუმანიტარული მიმართულებით, ვთქვათ: ფინანსისტი ხდება მხატვარი, ან კულტურის პოლიტიკის მკვლევარი) მაშინ მისი პირველადი პროფესიის GPA დიდწილად არარელევანტურია მის ამჟამინდელ პროფესიასთან მიმართებაში და შესაბამისად მისი პრაქტიკული გამოცდილება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე 5 – 10 წლის წინანდელი GPA.

2. **GPA ლიმიტირებული ინდიკატორია** - GPA მცირედ ასახავს სტუდენტის შემოქმედებითობას, მის განსაკუთრებულ ნიჭს, ლიდერობის თვისებებს - ეს ყველაფერი ამ ინდიკატორის მიღმა რჩება და მხოლოდ რეალური, პროფესიული და პიროვნული გამოცდილებით შეიძლება დადგინდეს სტუდენტის ნამდვილი პოტენციალი.

3. **საერთაშორისო საუნივერსიტეტო გამოცდილება** - დღესდღეობით თანამედროვე უნივერსიტეტები ხშირად უშვებენ გამონაკლისს და თუ სტუდენტი თავისი გამოცდილებით, მოტივაციით, პროფესიონალიზმით აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს, ისინი მიიღებიან სასწავლო პროგრამებზე; შესაბამისად, უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება GPA-ს გათვალისწინება და პირველადი პროფესია.

4. **GPA - არარელევანტური ბარიერი** - თუ სტუდენტი მიღებულია სასწავლო პროგრამაზე საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომელიც შედის მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებების სარეიტინგო სიებიდან პირველ ასეულში, სტუდენტებს უნდა მიეცეთ შანსი არაარსებითი და დამაბრკოლებელი ბარიერების გარეშე მიიღონ პროგრამაში მონაწილეობა.

5. **გაუმართავი საუნივერსიტეტო სისტემა** - ბოლონიის პროცესს საქართველო 2005 წელს შეუერთდა, ახალ სისტემაზე გადასვლას და დანერგვას უამრავი ხარვეზი და პრობლემა ახლდა თან. უნივერსიტეტები ძირითადად მოუმზადებლები შეხვდნენ ამ ცვლილებას და შემდგომი წლებიც ახალ სისტემასთან ადაპტაციას უფრო წარმოადგენდა ვიდრე გამართულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც საერთო ჯამში GPA-ს როგორც რელევანტურ ინდიკატორს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო განათლების პროგრამის კანდიდატთა შერჩევის პროცესის სრულყოფისთვის უნდა მოხდეს მოყვანილი არგუმენტაციის გათვალისწინება და განსაკუთრებულ შემთხვევებში უფრო მოქნილი მიდგომების გამოყენება.

საუკეთესო სურვილებით

ვახტანგ ურუშაძე